ძვირფასო ბატონებო,

გაცნობებთ, რომ შპს „სვოტ პროდაქშენს“ აქვს სურვილი, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ-სურსათის ეროვნულ სააგენტოს შეთავაზოს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის საინფორმაციო კამპანიის უზრუნველყოფის მომსახურება.

<u>შპს „სვოტ პროდაქშენის“ გამოცდილება</u>

შპს „სვოტ პროდაქშენი“ (ს/კ 405170602) დაფუძნდა 2016 წელს. მისი ძირითადი საქმიანობაა ვიდეო/აუდიო გადაცემების, სარეკლამო რგოლების დამზადება და განთავსება მედია სივრცეში (ტელევიზია, რადიო, ინტერნეტი).

„სვოტ პროდაქშენი“ დაფუძნებულია პროფესიონალთა გუნდის მიერ. მათ გააჩნიათ სატელევიზიო სივრცეში მუშაობის 25 წლის გამოცდილება, რომელიც მოიცავს ისეთი სატელევიზიო ფორმატების შექმნას, როგორებიცაა:

- ტელეპროექტი *„გრიფით საიდუმლო“* და *„სუპერ სახლი“* - ტელეკომპანია „იმედი“
- გადაცემები: *„SWOT ანალიზი“, „ბინა და რემონტი“* და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქშოუ *„ცეცხლის ხაზი“* - ტელეკომპანია „მაესტრო“

ტენდერის ტექნიკური დავალების პასუხად გაცნობებთ, რომ 2017 წლის განმავლობაში „სვოტ პროდაქშენის“ მიერ დამზადებულია შემდეგი სახის პროდუქცია:

1. სატელევიზიო რუბრიკა „სუპერსახლი“ - ტელეკომპანია „იმედის“ (საშ. AMR - 6%) გადაცემაში „იმედის დილა“. სიხშირე: ყოველკვირეულად 2 გადაცემა (ხელშეკრულება თანდართულია).
2. სატელევიზიო სარეკლამო კამპანია ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) დაკვეთით: საინფორმაციო და საიმიჯო 7 ვიდეო რგოლი (ხელშეკრულება თანდართულია).

შპს „სვოტ პროდაქშენის“ დირექტორი

გრიგოლ ფარესიშვილი